# აპლიკანტის გზამკვლევი

თუ გადაწყვიტე პროფესიულ პროგრამაზე სწავლა, ამისათვის უნდა შეარჩიო პროგრამა, კოლეჯი, გაიარო რეგისტრაცია და მონაწილეობა მიიღო შერჩევის პროცესში. გზამკვლევი დაგეხმარება პროცედურების გავლაში:

1. დარეგისტრირდი https://vet.ge/ge ვებგვერდზე;
2. თუ ვერ ახერხებ დამოუკიდებლად დარეგისტრირებას, მოგვმართე და მარნეულის კოლეჯი დაგეხმარება ამ მნიშვნელოვანი პროცედურის გავლაში;
3. რეგისტრაციის პროცესში უნდა შეარჩიო სასურველი (არაუმეტეს სამისა) პროფესიული პროგრამა და სასწავლებელი (კოლეჯი);
4. რეგისტრაციის პროცესი **2024 წლის 2 სექტემბერს იწყება და დასრულდება 22 სექტემბერს** ***გაითვალისწინეთ!*** ამ ვადის შემდეგ თქვენ ვეღარ შეძლებთ 2024 წლის საშემოდგომო მიღებაში მონაწილობას;
5. არ შეცვალოთ რეგისტრაციისას მითითებული ტელეფონის ნომერი და ელექტრონული ფოსტა, ვინაიდან ამ მისამართებზე თქვენ მიიღებთ ყველა საჭირო და მნიშვნელოვან ინფორმაციას;
6. 5 და 6 ოქტომბერს ჩატარდება შერჩევის პროცესი ყველა პროგრამაზე გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ:
   - ფარმაციის პროგრამა, საექთნო განათლების პროგრამა -- ქიმია-ბიოლოგიის (სკოლის პროგრამა) ტესტს ჩაატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი (ზუსტი თარიღი გეცნობებათ სატელეფონო მესიჯით ან ელექტრონული ფოსტით);
   - აღმზრდელის პროგრამა -- ზოგადი უნარების ტესტს ჩაატარებს გამოცდების ეროვნული ცენტრი (ზუსტი თარიღი გეცნობებათ სატელეფონო მესიჯით ან ელექტრონული ფოსტით);
   - 1 ოქტომბერს - ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამა - მოტივაციურ გასაუბრებას ჩაატარებს მარნეულის კოლეჯი;
   - 2 ოქტომბერს - საფინანსო სერვისების პროგრამა - მოტივაციურ გასაუბრებას ჩაატარებს მარნეულის კოლეჯი;
   - 8 ოქტომბრამდე - პროგრამაზე შერჩევის შედეგების გასაჩივრების ვადაა;
7. **2024 წლის 29 ოქტომბერს** სატელეფონო შეტყობინების ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიიღებთ ინფორმაციას თქვენს მიერ ტესტირებაში ან გასაუბრების დროს დაგროვილი ქულების შესაბამისად რეიტინგული ადგილის შესახებ;
8. თქვენი რეიტინგული ქულით განისაზღვრება მოხვდით, თუ ვერა სასურველ კოლეჯში და სასურველ პროგრამაზე;
9. **2024 წლის 29 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით** რეიტინგული ქულის (რეიტინგულ სიაში თქვენი რიგითი ნომრის) გათვალისწინებით შესაძლებლობა გაქვთ მონიშნოთ საბოლოო არჩევანი (ანუ უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება და აირჩიოთ მხოლოდ ერთი პროგრამა ერთ კოლეჯში);

10. **2024 წლის 1 ნოემბრიდან 15 ნოემბრამდე** სავალდებულოდ უნდა გამოცხადდეთ არჩეულ კოლეჯში განცხადების დასაწერად და საჭირო საბუთების წარსადგენად. ***გაითვალისწინეთ!*** ამ დადგენილ დღეებში არმისვლის შემთხვევაში, თქვენ ვერ ჩაირიცხებით სასურველ პროგრამაზე მიუხედავად რეიტინგული ქულისა;
11. **ყველა პროფესიულ პროგრამაზე სწავლა იწყება 2024 წლის 25 ნოემბერს**

# გისურვებთ წარმატებას

| | |
|---|---|
| **საექთნო განათლება** | • სამწლიანი უმაღლესი პროფესიული პროგრამა;<br>• გაიცემა სახელმწიფო დიპლომი;<br>• ჩარიცხვა 12 კლასის ატესტატის საფუძველზე;<br>• ~~გადასახადი 11733 ლარი;~~ სახელმწოფო დაფინანსება<br>• ჩარიცხვა Naec-ის ტესტირების გზით (ქიმია-ბიოლოგია) |
| **ფარმაცია (სააფთიაქო)** | • ორწლიანი უმაღლესი პროფესიული პროგრამა;<br>• გაიცემა სახელმწიფო დიპლომი;<br>• ჩარიცხვა 12 კლასის ატესტატის საფუძველზე;<br>• ~~გადასახადი 8415 ლარი;~~ სახელმწოფო დაფინანსება<br>• ჩარიცხვა Naec-ის ტესტირების გზით (ქიმია-ბიოლოგია) |
| **საბანკო საფინანსო სერვისები** | • ერთწლიანი პროფესიული პროგრამა;<br>• გაიცემა სახელმწიფო დიპლომი;<br>• ჩარიცხვა 9 კლასის ატესტატის საფუძველზე;<br>• ჩარიცხვა შესაძლებელია 17 წლის ასაკიდან;<br>• ~~გადასახადი 2653 ლარი;~~ სახელმწოფო დაფინანსება<br>• ჩარიცხვა კოლეჯის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრებით |
| **ინფორმაციის ტექნოლოგია** | • ერთწლიანი პროფესიული პროგრამა;<br>• გაიცემა სახელმწიფო დიპლომი;<br>• ჩარიცხვა 9 კლასის ატესტატის საფუძველზე;<br>• ~~გადასახადი 3219 ლარი;~~ სახელმწოფო დაფინანსება<br>• ჩარიცხვა კოლეჯის მიერ ორგანიზებული მოტივაციური გასაუბრებით |
| რეგისტრაცია 2024 წლის 2 სექტემბრიდან 22 სექტემბრამდე<br>ნაეკის ტესტირება 5-6 ოქტომბერი<br>გასაუბრება კოლეჯში 1-2 ოქტომბერი<br>სწავლის დაწყება 25 ნოემბერი | |

მარნეულის კოლეჯის ელექტრონული ფოსტა:
marneulicollege@gmail.com; info.marneulicollege@gmail.com
**კოლეჯის საკონტაქტო ტელეფონი: 595 30 23 90**
ვებგვერდი: WWW.MC.EDU.GE
ფეისბუქი: „მარნეულის კოლეჯი - Марнеульский колледж“
ინსტაგრამი: “marneulicollege”